№ 77 13 აპრილი, პარასკევი 1866—1879 13 აპრილი, პარასკევი № 77

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი,** 10 აპრილს. დღეს ოსმალეთმა და ავსტრიამ მოაწერეს ხელი იმ პირობაზედ, რომელიც არის შემსდგარი ბოსნია და გერცოგოვინის ოკუპაციის და ნოვობაზარის სანჯახის ჯარების დაყენების თაობაზედ.

—„Новое Врѣмя"-ს გაუგონია, რომ ხელმწიფე იმპერატორის რევოლვერის სროლის თაობზედ-გამოსაძიებლად დაუნიშნავთ ექვსი პირი, რომლის თავს მჯდომარეთ იქნება მის იმპერატორობით უდიდესობა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.

## საქართველო

### ქუთაისის მოძრაობა ბანკის თაობაზე

განსვენებულის ბ. ღოღაბერიძის სიკვდილმა დიდი ალიაქოთი ააყენა ბანკის გამგეობაში. „რავქნათ და სადღა წავიდეთ" შესძახეს ერთმანეთს ფერგადაკრულმა ორმა დირექტორმა. თავზარ-დაცემულნი შესცქეროდენ ერთმანეთს პირ-და-პირ მჯდომარე დირექტორები განიერ მწვანე სტოლთან ბანკის ზალაში. მათი მიბნედილი თვალები მომეტებულს უნუგეშობას და გონების არევ-დარევას გამოხატავდა; ერთი იმათგანს ამის ნიშნათ თმები აბუძგოდა; მეორე კი ნიადაგ შუბლზე ხელს ისვამდა, თითქოს ჰსურდაო უკანასკნელი ნაშტი სამოცის წლის მიმქრალი მეხსიერებისა კიდევ როგორმე მოეკრიფა; მაგრამ უწყალოთ დათრთვილული მოხუცებულება აღარ აძლევდა გაყინულს მეხსიერებას განედლებისა და ძალის შეკრებას.

— მეტი რა გზა გვაქვს ბანკის კასსა უნდა დავკეტოთ და ბეჭედი დავაკრათ, რომ ხელ-უხლებათ მაინც გადავსცეთ საზოგადოებას თავის ქონება, რადგან ჩვენ მაგისი არა გაგვეგება-რაო—წარმოსთქვა წუწუნით საბრალო მოხუცებულმა—აბა, რას მოვიფიქრებდით, რომ დაუნდობარი სიკვდილი ასე უდროვოთ მოგვაშორებდა ჩვენს სიცოცხლის იმედს, ჩვენის უზრუნველობის ბურჯს განსვენებულს ბ. ღოღაბერიძეს. უიმისოთ ჩვენ რაღა ვართ, ან რა შეგვიძლია? ჩვენ ხომ მარტო იმ პირობით ვიკისრეთ ბანკის დირექტორობა, რომ განსვენებულის შემჩერენი ვყოფილვიყავით და ის, რასაც გვიბრძანებდა, ჩვენც ის აგვესრულებინა, რაზედაც ის ხელს აწერდა, ჩვენც იმაზე მოგვეწერა ხელი. ოჰ, რა საწუხარო ყოფილა უთავოთ ხელ-ფეხის ჰყოფნა!... ჩვენ რომ ეს უბედური შემთხვევა თვალ-წინ გვდგომოდა, აბა, როგორ გაგვიწყრებოდა ღმერთი, როგორ დავთანხმდებოდით დირექტორობის ამორჩევაზე? რომ განსვენებულის იმედი არა გვქონოდა, როგორ შევდგამდით ისეთს საქმეში ფეხს, საცა არა გაგვეგებია-რა ჩვენს დღეში და ვერც არას გავიგებდით"... ასე ამ გვარის სიტყვებით შეწუწუნებდენ ერთმანეთს ორი ჯავრით გაფითრებული ბანკის დირექტორები. ბოლოს მართლაც გადაწყვიტეს კასსა დაეხურათ, ბანკის კარები დაეკეტათ და თავის თანამდებობას სამუდამოთ გამოთხოვებოდენ და ასეც მოხდებოდა, რომ კასსირს და ბუხგალტერს არ ენუგეშებინა ისინი. „ბატონებო რისა გეშინიათ? ჩვენ ვიცით საქმის წარმოება, თქვენ ოღონდ ხელის მოწერას ნუ დაიზარებთ ხოლმე და ჩვენ როგორც აქამდის წარმოებულა საქმე, ისე ვაწარმოებთ.

— მაშ კარგი, აგრე იყოსო, ცოტათ გულ-დამშვიდებით მოიბრუნეს სული დირექტორებმა.

იმ დროს, როდესაც ბანკში ამნაირი მძიმე გარემოება წყდებოდა განსვენებულს ბ. ღოღაბერიძის კაბინეთში შეკ-

## ფელეტონი

### შვილის გამყიდველი დედა

#### I

მაისის საღამო იყო. მშვენიერი გაზაფხულის ნიავი დაჰქროდა და აგრილებდა გორებისაგან გაცხელებულ თფილისის ჰაერს. მზეც თავის ძობჭუნტულ სხივებით ეთამაშებოდა არე-მარეს და გრძნობაში მოჰყვანდა მომღერალი ფრინველებს, რომელნიც დაჰკვნესოდნენ ბაღებში სხვა და სხვა ყვავილებს და იზადავდნენ თავის გალობით შიგ მდგომ ხალხს. ხალხიც, გარეთ გამოსული იფანტებოდა აქეთ იქით ბაღებში, სადაც სურნელები სხვა და სხვა ყვავილებისა, გალობა ფრინველებისა, ამწვანებული ხე-ბუჩქნი და ზურმუხტის ფრათ აყვავებული ბალახები შეიყვანდნენ კაცს საიმედო ოცნებაში....

ამ ყოვლად მშვენიერს საღამოს ერთს სოლოლაკის ორ სართულიან სახლში იჯდა ორმოცის წლის დედაკაცი და ჰფიქრობდა თავის ქალის ბედნიერებაზედ, რომლის უმანკოებაც მიეყიდნა ერთი უმაღლესი პირისათვის.... ფიქრობდა მას რომ ამ საღამოთი იყო გადაწყვეტილი დრო ვაჭრობისა და თუ მისი ქალი არ დათანხმდებოდა არ იცოდა რა მოეხერხებინა; ფიქრობდა ძას რა ბედნიერ მდგმოიარებაში შეიყვანდა ის უმაღლესი პირი ამ გაღარიბებულ სახლობას და როგორ ქმარს უშოვნიდა თავის გასათხოვარ ქალს; ფიქრობდი მას, რომ ამ უმაღლეს პირისაგან გამდიდრებული იქირავებდა უფრო მშვენიერს სახლს, მოაწყობდა ავეჯეულობით და მდიდრულ ცხოვრების გამო გაათხოვებდა დანარჩენს გასათხოვარ ქალებსაც....

ამ საზიზღარ ფიქრებში იყო გართული, როდესაც კარები შემოაღო ერთმა მშვენიერმა თვრამეტის წლის ქალმა, რომლის თეთრი ფერი, შავი თმა და წარბი, ალვის ხისავით მოყვანილი ტანი მოიყვანდა კაცს აღტაცებაში და მისი შავი დიდი თვალები დასწომდნენ ყოველს ადამიანს, თუ კი ის გაუჩერებდა დიდხანს თვალებს და არ მოაშორებდა თავის დროზედ...

—დედილო, არ შეიძლება წავიდე სასეირნოთ? ჰკითხა დედას ამ მშვენიერმა ანგელოზმა.

—არა, შვილო ანეტავ, დღეს მე შენთან საქმე მაქვს.... დაჯექი! ყური დამიგდე!

ამ სიტყვების შემდეგ ანეტა ჩაჯდა სავარძელში და გადაწოლილი უგდებდა ყურს თავის დედას, რომელიც იგავებით უხსნიდა საძაგელ აზრს და ატყობინებდა თავის გადაწყვეტილებას.

რას ამბობ, დედილო—წამოიძახა უცებ ანეტამ—განა შეიძლება, რომ ფულის გულისათვის ვეარშიყო ვისმე!? შეიძლება, რომ მე გამოვტყუო კაცს ფულები!? ოხ, რასა ბრძანებ!.

ჯერ შენ ყმაწვილი ხარ-მიუგო არ დედამ იცი რა არის ქვეყანა და რას უყურებს ხალხი; განა შენ გგონია სილამაზის გულისათვის შეგირთონ? გგონია, რომ შენს ჭკუას უყურონ?.. შეშცდარი ხარ, რადგანაც არ იცი, რომ ახლანდელი

რებილ იყვნენ სამი კაცი, რომელნიც იმ დროს წარმოადგენდენ მთელი ქუთაისის გუბერნიის საზოგადოების აზრს; ისინი მტკიცეთ იყვნენ დაჯერებული, რომ რასაც ისინი გადაწყვეტდენ, მთელი ქუთაისის თავად-აზნაურობაც იმაზე დათანხმდებოდა. ეს კაცები იყვნენ: ბ. გოლობერიძე, ნ. გოლობერიძე და დ. ლორთქიფანიძე. იმათ გადაწყვიტეს უსათუოდ ბანკის გამგებელათ განსვენებულ ბ. გოლობერიძის მაგიერად დ. ყიფიანი მოეწვიათ.

შემდეგ უფ. ნ. გოლობერიძემ გადასცა ეს გადაწყვეტილება უფ. ნ. ყიფიანს! ამან აცნობა თავის მამას ეს ამბავი, როგორც მთელი იმერეთის საზოგადოების მტკიცე სურვილი. როცა ეს ქუთაისის გუბერნიის მარშალმა შეიტყო, როგორც ამბობენ, არ მოეწონა, რადგან ესე ყოველივე იმის დაუკითხავათ მომხდარ იყო.

მართლაც, საკვირველია, რომ ამისთანა მძიმე საქმეში ბ. და ნ. გოლობერიძეები არავის დაკითხვიან. თუმც ისინი დიდი გავლენის მქონე კაცებს უწოდებენ თავიანთ თავს იმერეთის საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ სანამდის ამ საგანზე მოილაპარაკებდენ, რიგი და წესი იყო გუბერნსკი მარშალსაც და კითხებოდენ. იმათ კი თავის გასამართლებლად ეს საბუთი მოჰყავთ, რომ უფ. გუბერნსკი მარშალი კ.ნ. ნ. წერეთელი ყოველს ამისთანა საზოგადო საქმეში ჩვენი თანახმა არისო და ჩვენს დაუკითხავად არაოდეს არ მოიქცევაო. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმისი გულითად წადილი წარმოვსთქვითო.

მოიწურა აღდგომა. ქუთაისის განათლებული კაცები თან-და-თან უფრო ჩავარდენ იმის ფიქრში, თუ როგორ მოვიქცეთ, ან ვინ ამოვირჩიოთო ბანკის გამგებელათ. ამის მოსალაპარაკებლათ დანიშნეს აღდგომის შაბათს საღამოს კრება ბანკის ზალაში. აქ უნდა მოსულიყვნენ ყველანი, ვისაც კი გული ეტკივებოდა ბანკის კეთილმდგომარეობის გულისათვის. მაგრამ სამწუხაროთ ამ შეკრებილებას ერთმა მძიმე საქმემ შეუშალა ხელი. ბანკის დირექტორებს იმ დღეს მოსვლოდათ ტელეგრამმა, რომ ვინიკენი თავის ბანკურს მოქმედებას „ლიკვიდაციის“ უშვრებაო. დირექტორებს ხელმეორეთ თავზარი დაეცათ. „დავილუპეთ, ბატონო, დავილუპეთ“— შექნეს წუწუნი დირექტორებმა. ეს „ლიკვიდაცია“ კარგი არა არის რა. ალბათ რომ ვინიკენი გაკოტრებულაო, თორემ ის სიტყვას „ლიკვიდაციას“ არ იხმარებდაო. ჩვენ ახლავე მივანებოთ თავი ამ ბანკს. დავანებოთ თავი, წავიდეთ შინ, ურჩევდენ დირექტორები ერთმანეთს.

მივანებოთ ბანკის კასსირსა და ბუხგალტერს, როგორც უნდა ისე ქმნანო— ეუბნებოდეთ ერთმანეთს დირექტორები.

ისინი უცბათ ჩასხდენ ფაეტონში და მიიჭრენ ბანკში. დაიბარეს კასსირი, ზედამხედველის კამიტეტის წევრები, ბუხგალტერი და შეიქნა საიდუმლო მოლაპარაკება.

აგვიხსენით, ეს სიტყვა „ლიკვიდაცია“ რა არისო უთხრეს დირექტორებმა, კასსირსა და ბუხგალტერს.

— ეგ, ბატონებო ნიშნავს ანგარიშის გაწმენდას.

— დავილუპეთ, შემოიკრეს თავში ხელი დირექტორებმა. ალბათ ვინიკენი გაკოტრებულა და ანგარიშიც ამით გაუწმენდიაო ჩვენთან.

— არა, ბატონებო, რას ბრძანებთ სად „ლიკვიდაცია“, სად გაკოტრება? უთხრეს კასსირმა და ბუხგალტერმა შეძრწუნებულს დირექტორებს. ალბათ ვინიკენს ჩვენი ზაკლადნი ლისტები გაუყიდნია და ფულსაც გამოგვიგზავნისო.

— მაშ ახლათ-ახლავე მოგვცემთ რწმუნების წერილს—უთხრეს დირექტორებმა ათრთოლებით კასსირსა, თქვენ წადით პეტერბურღს და შეგვიტყვეთ ნამდვილი ამბავი.

მართლაც იქვე ნოტარიუს'ს დაამტკიცებინეს მოწმობა და როდესაც კასსირი კიდეც გამოეწყო სამგზავროთ, ამ დროს მოვიდა ცნობა ტფილისიდან, რომ თქვენი გაყიდული ზაკლადნი ლისტების ფული 150,000 მანეთი ვინიკენისაგან გამოგზავნილი მოგვივიდაო და თუ გნებავთ მიიღეთო. დირექტორები ამ ამბავმა დააშოშმანა, კასსირმა დახია რწმუნების წერილი და ბანკის კარები გადარჩა დაკეტას.

გამოჩნდა რომ ჩვენს ქუთაისის ბანკის დირექტორებს სიტყვა „ლიკვიდაცია“ რა არის, ისიც არა სცოდნიათ.

სამწუხაროა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

თიანეთი 3 აპრილი. აქაური მაზრის უფროსის ჩოლოყაშვილის წასვლამ ძრიელ დასცა თიანეთი. იმის წასვლით დიდათ გაიხარეს ზოგი ერთი თიანეთში მცხოვრებთა ამისთვის, რომ ეს ჩოლოყაშვილი კანონიერად იქცეოდა და ხალხის მჩაგვრელებსა სდევნიდა. მისი წასვლა უმეტესად გაუხარდა ამ პრიხოდის მღვდელს ბოდაევს. ამ მღვდელმა, რომელსაც მიეცა თავის უფლება ჩოლოყაშვილი წასვლის შემდეგ, თავის სასარგებლოთ ჩეიგდო სახელმწიფო სახლის ეზო ნახევარ დღიურის ოდენი. ეს სახელმწიფო სახლი და სახლის ეზო, რომელიც მღვდელმა მითვისა, ჩოლოყაშვილის დროს ჩინოვნიკების ხელში იყო. ამას გარდა ისე თავს გავიდეს მღვდელს, რომ ლამის ეს ხალხი დაჭამოს და ფეხ ქვეშ ამოიდოს...

ამ თიანეთის ვაჟებისა და ქალების

---

ყმაწვილები უყურებენ ჩაცმას, სიმდიდრეს და არა შენს ჭკუას და სწავლას!

—რაც უნდა იყოს, დედავ, მე ისე არ დავარდები, რომ გათხოვების გულისათვის დავიწყო ის საძაგელი მოქმედება, რომელიც ყოველს პატიოსანს უნდა ეჯავრებოდეს! გამიგონეთ! რომელი პატიოსანი ქალი ეცდება ყმაწვილების მოტყუებას და იმათი ფულის დაცინცვლას? რომელი იქნება იმისთანა ქალი, რომ მისდევდეს მაგნაირ დანიშნულებას და პატიოსანი ხალხი მას პირში არ აფურთხებდეს?

ანეტაჯან, მე შენ გთხოვ, მაგ სიტყვებს თავი დაანებო და არ აჰყვე იმ სულელებს, რომელნიც პატიოსნებაზედ ლაპარაკობენ და არ ესმით მათ იგი. შენ არა ხარ ყმაწვილი, შენ იცი ჩვენი მდგომიარება და შეძლება, იცი რა ვართ და რა მოგველის ჩვენ, თუ ჭკვიანათ და გონივრულათ არ მოვიქცევით... შენ ჯერ არ იცი რისთვისაც უარი გითხარი სასეირნოთ წასვლისა—ყური დამიგდე! დღეს მოვა ალექსანდრე, რომელიც შენ დაგიწყებს არშიყობას... შენც გაუცინე... გეეთამაშე... ეშასხარე... და შეიძლება.... ვინ იცის... ჩვენი საქმე კარგათ წავიდეს და მაგითი გავბედნიერდეთ....

ამ სიტყვების შემდეგ ანეტა წამოდგა, ჩაფიქრებული გავიდა და დედა მისი ნატალია მარტოკა დაადგო.

კარგია არ გავაგებინე ჩემი აზრი ანეტას—ფიქრობდა ნატალია—თორემ ის გაცხარდებოდა და გამექცეოდა... ახლა კი ცხრა საათზედ ალექსანდრეს მიიღებს და იმან იცის როგორც მოექცეს ყმაწვილი ქალები ჯიუტნი არიან!

II

ცხრა საათია. გაბრწყინვებული მთვარის სხივები ეთამაშებიან ანეტას საწოლ ოთახის ფანჯრის შუშებს, რომელშიაც მშვენივრათ იხატება ღამის გუშაგი. გაღებულ ფანჯრიდამ შამოდის მშვენიერი გაზაფხულის ნიავი, რომლის გამოც ფრიალებს ანეტას მღელვარე შავი, გიშრის თმა, თითქო ეთამაშებოდეს მის მშვენიერ სახესა. ანეტა გადაწოლილი სავარძელში მთვარის სხივების გამო განათლებულ ოთახში, ფიქრობს სხვა-და-სხვა საგნებზედ...

ამ დროს წყნარათ გაიღო საწოლ ოთახის კარები და მოისმა ჩურჩული ნატალიასი: „შადით, მარტოკა არის. უფირილის ფიქრი ნუ გაქვთ... ყველაფერი ჩემს კისერზედ იყოს...“ ბრწყინვალე მუნდირით ალექსანდრე შევიდა, ჩაჰკეტა კარები და ჩაფიქრებულ ანეტას მიეპარა.. როდესაც ანეტამ ფეხის ხმა გაიგონა, მიიხედა უკან და რომ დაინახა ალექსანდრე შეჰკივლა საშინლათ, მაგრამ ალექსანდრემ ყურადღება არ მიაქცია, ღიმილით ძალიათ გედეეხვია და.....

უბედურო კაცობრიობავ, სტირი შენ, მაშინ როდესაცა საფლავში ასვენებ მიცვალებულს! სტირი მოთქმითა, როდესაც დაგაკლდება სიხარული! მაგრამ არ სტირი, მაშინ როდესაც შენს თვალის წინ ცოცხლათ იმარხებიან საფლავში და ცოცხალნი ჰლპებიან!..

მ. ჯორჯაძე.

შკოლას და საზოგადო ბანკს რაიც შეეხება, ჯერეთ კარგათ მიდის, ამ მარტში თიანეთის შკოლის შაგირდებს რევიზია ჰქონდათ და დიდი მადლობა მიიღეს მასწავლებლებმა რევიზორისაგან.

ხოლო რაიცა შეეხება აქაურ მოხელეებს, უნდა ვსთქვა, რომ ესენი ძალიან ცუდათ იქცევიან: ღმერთმან არამთუ ჩვენი მოკეთე, არამედ მტერიც დაიხსნას ამათის ხელისაგან; თუ ვინმე იჩივლებს ამ სულებთან, მერწმუნეთ, რომ უკანასკნელს ჩოხას გახდიან და დუქანში ღვინოს დალევენ. დიდი ბედნიერება მიეცემათ თიანელებს, რომ ეს უსამართლო მოხელეები უფალო რედაქტორო, გთხოვთ „დროებაში“ უბოძოთ ადგილი ამ სტატიას.

დროებით თიანეთში (მგზავრათ) მყოფი
თელაველი ტერ-აკოფოვი

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ამბობენ, პორტამ მისწერა ტელეგრამმა ხედივსა, რომელშიაც უცხადებს: თუ ევროპიულ მინისტრებს არ დააყენებ გამოგცვლიოთ.

— დიპლომატებმა ახლა მოჰკიდეს ხელი სომხების საქმეს და 65 მუხლი ბერლინის პირობისა უნდათ მოიყვანონ აღსრულებაში. საფრანგეთის ელჩმა ფურნიემ, მინამ სტამბოლიდამ გავიდოდა, მისწერა სომხების პატრიარხს ნერსეს, რომ ის დაიცვამს სომხებს საფრანგეთის მმართებლობის წინ და ეცდება დაპირებული პირობების აღსრულებას.

ლობანოვ-როსტოვსკიმ, სომხების პატრიარხის თხოვნით, დაიცვა ერთი სომხის ქალი, რომელიც მოეპარათ თათრების ქალებს და რომელსაც ძალათ უპირებდნენ რჯულის გამოცვლას. ჯერ ეს ქალი სრული წლოვანი არ არი, რისგამოც თათრებს კანონით ნება არა აქვთ მისი რჯულის გამოცვლა, მაგრამ მოლებმა დაბრუნების თაობაზედ მის დედ-მამას უარი შემოუთვალეს. როდესაც ეს შეიტყო პატრიარხისაგან, ლობანოვ-როსტოვსკიმ პორტას მოსთხოვა, რომ ეს ქალი დეებრუნებინათ მის დედ-მამისათვის მცირე წლოვანობის გამო. ამ ნაირ რუსეთის ელჩის მოქმედებას დიდი შთაბეჭდილება ჰქონდა სომხებზედ.

## საფრანგეთი

12 აპრილს მონტე-კარლოსში გარდაიცვალა გამოჩენილი პარიჟელი ჟურნალისტი ჟაკ-იპოლიტ-პარტიე-დე-ვილმესან, რომელიც დაიბადა რუანში 1812 წელსა და რომელიც 27 წლისა გამოვიდა ლიტერატურის ასპარესზედ. ჯერ გამოსცა ჟურნალი „Sylphide“, მერე იყო რედაქტორი „Lampion“-ისა, „Bovcle de Fer“-ისა, Chronique de Paris“-სა და 1854 დაიწყო გამოცემა „Figaro“-ისა.

— ერთს საფრანგეთის გაზეთში იწერებიან, რომ პირველ მაისიდამ პარიჟში გამოვა ახლა მობრუნებულ კომუნარების გაზეთი „Commune Affranchie“, რომლის რედაქტორათ იქნება ფელიკს პია.

## გერმანია

რუსეთის ელჩს უბრს და ბისმარკს ჰქონიათ რჩევა—რა ღონის-ძიება მოიპოვონ ნიჰილიზმის მოსასპობლათ.

# წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო

უმორჩილესათ გთხოვთ, მცირედი ალაგი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ ამ ჩემგნით მცირეთ ნაამბობს:

მე ამ ორის კვირის წინეთ ვიყავი სოფელს მეტეხში და ჩამოვხტი ერთის გლეხის სახლში. ვკითხე სოფლის ანბავი და ძალიან მოწყენილის სახით მითხრა რამდენიმე ანაზდეულად დახოცილ ხალხზედ, ჩემმა მასპინძელმა და შემდეგ შკოლის საქმე ვკითხე. შაგირდები დაიარებიან შკოლაში? და რამდენნი იქნებიან ან როგორ სწავლობენ და ან მასწავლებელს როგორ ემადრიელებიან მეთქი?

ამაზედ ჩემმა მასპინძელმა აი რა მიპასუხა: „ღმერთმა უშველოს ძალიან კარგი მასწავლებელი გვყავს, ჭკვიანი თავ მდაბალი, ყველას ძმობით ელაპარაკება. შაგირდები ხომ ასეთები არიან, რომ იმისთვის თავს იხოცენ. აქნამდინ რომ იყო ხოლმე შაგირდი ოსტატ გამოეპარებოდა, ხან სად იმალებოდნენ და ხან სადა. ეგრე ხომ არ არის ეხლა მამა რომ ეტყვის შვილს, შვილო, დღეს გუთანზედ მეხრე არა მყავს და წამამყე შკოლას თავი დაანებეო, მაშინვე უარს იტყვის: მე დღეს შკოლას ვერ მოვცდები გაკვეთილი რაცა მაქვს უნდა ოსტატთან წავიკითხოვო.

ამ სახით ადრიანათვე გაიპარებიან სკოლაში და გაკვეთილებს ამზადებენ ერთის სიტყვით რაკი ნახეს მასწავლებელი კარგი ჰყავთ, ყველანი იქ მიიწევენ; სწავლაც უნდა მოგახსენო, მეკი არა ვიცირა უსწავლელი გახლავარ და ამბობენ კარგათ სწერენ და კითხულობენო.

თუ გნებამთ წამობრძანდით და მე გიჩვენებთ. მადლობა გადუხადე, ავდექ და წავყევი მაშინათვე მივედი ახლოს რამდენიმე კიბეზედ ფეხი შევდგი და შეველ შკოლაში, სადაც გაკვეთილებს მასწავლებელი შაგირდეას უხსნიდა. სწრაფად ფეხზედ წამომიდგნენ თავი დამიკრეს და დასხდნენ. მასწავლებელსა ვსთხოვე ნების მიცემა შაგირდებისათვის გაკვეთილებიდგან რამე მეკითხა, მასწავლებელმაც დიდის სიამოვნებით მიიღო ეს თხოვნა.

ჯერ შაგირდები დავათვალიერე, იქმნებოდა თითქმის ორმოცამდინ ქალებიანათ; ამათში უფრო, რომელიც პატარა იყო იმას წავაკითხე [illegible]—გაკვეთილი; ძალიან თავისუფლად წაიკითხა ამასთანავე ახსნითაც სთქვა, რასაც შეიცვავდა იმის გაკვეთილი. სხვას კიდევ პატარა ქალს დავაწერინე თავისავე გაკვეთილიდგან დასწერა კარგის ასოებით და ზოგს კიდევ დახატული ცხოველებიდგან ვკითხე, რომელიც იქვე შკოლის კედლებზედ უკრამთ. თითქმის სამი ანუ ოთხი შაგირდი არ მოიპოებოდა, რომ ყველას ახსნით არ სცოდნოდა.

ამ გვარის შაგირდების წახალისებულმა ქცევამ მომიყვანა დიდ მხიარულებაში. ესეც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ არ არის დიდიხანი რაც მეტეხის შკოლა გაიხსნა და ასე ჩქარა მიხვედრილან ყველას. ერთის მხრით ყმაწვილების ნიჭსაც უნდა მივაწეროთ, მაგრამ მეორე მხრით კი უფრო მასწავლებლის მეცადინეობას. ერთის სიტყვით აქ ნაკლულევანება არა მინახამსრა არც შეგირდებში არც მასწავლებელში.

მხოლოდ ერთი ნაკლულევანება შკოლის, სახლი არის პატარა, შეგირდები სხედან ვიწროთ, მსურველი ბევრია შეგირდებისა თურმე და უსახლობის გამო ვერ მისულან. მამასახლისიც თურმე ძალიან ბოლო დაშვებული კაცი ჰყოლიათ და აბა როდის ელირსებათ შკოლის გაკეთება. აზნაურები ხომ რაღა მოგახსენოთ, იმათ უნდათ ისევ უსწავლელი და გაუნათლებელი ხალხი იყოს ისევ ძველებურათ უჩაკუნონ თავში. ურიგო არ იქნება, რომ ვისაც ეკუთვნის, მამასახლის ძალა დაატანონ და შკოლისთვის სახლი ჩქარა მოამზადებინოს, რომ მსურველ შაგირდებსაც ელირსოთ სწავლა ეგებ იმდენი მაინც ისწავლონ რომ მაწანწალა და მატყუარა ვაჭრებისაგან თავი გადირჩინონ საწყალმა ხალხმა.

მგზავრი

27 მარტს სოფ.-მეტეხი.

# განცხადებანი

წასვლის გამო ისყიდება პიანინო, გარმონია—ფლიუტ და უბრალო მებელი სოლოლაკზე სადოვის ქუჩაზე მელიქოვის სახლებში № 43 ჰკითხეთ ბიჭს სტეფანეს.

(3—3

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

ქუთაისში

# ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ)—შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, პლუბის ქვეშ.



გაიმართა სახელოსნო რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

კევრი ნიკ. ავალიშვილისა.

მატარებელი (приводъ) ამ კევრისათვის, თ. ერ. ჩოლაყაშვილისებური, ამ ჟამად გაუკეთესებული მისგანვე.

მატარებელი (приводъ) ისევ ამ კევრებისათვის, ნიკ. ავალიშვილისებური, მეხანიზმოთი. საჭიროდ ვრაცხავ ვაცნობო მეურნეთა, რომ ხსენებული კევრი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიდად გაუკეთესებულია, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭირებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული იმ დამატებაებითა.

ამ იარაღების შემოკვეთა ვისაცა ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ავალიშვილს სოლოლაკზედ, პოჯორის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, № 2, ნაშუადღევის 4-ან 7 საათამდის.



დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

# კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში



გამოვიდა და ისყიდება

# „ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.



# „ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედიი . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვ რილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 30 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბ. მბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი . | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 35 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 50 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 65 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშურლო ფთ. | 7 | 40 |

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Апрѣля 1879 г.* **Типографія Меликова.** გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.